სადისციპლინო გადაწყვეტილება # 66

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

მატჩი	გარდაბნის ,,ქვემო ქართლი“- სამცხე-ჯავახეთის ,,ტაო“		
შეჯიბრი	პლეი ოფი პირველ ლიგაში ასვლა/დარჩენაზე		
მატჩის თარიღი	28/03/2026	მატჩის ადგილი	თბილისი, ლოკოს ბაზა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია		

დარღვევის დეტალები			
მოთამაშის სახელი	გიორგი	მოთამაშის გვარი	შკინინი
კლუბი/გუნდი	სამცხე-ჯავახეთის ,,ტაო“	დაბადების თარიღი	07/03/1983
მსაჯი/საითინგ კომისრი			
ბინძური თამაში	☒ აღიარებულია ☐ არ არის აღიარებული	წითელი ბარათი	☐ აღიარებულია ☒ არ არის აღიარებული
დარღვევა	**9.12 (ა) მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს: ფეხის გამოდება/დადება**	წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა ☒ თუ „სხვა“ დააზუსტეთ: რაგბის კლუბ ,,ქვემო ქართლის“ საჩივარი	
სანქცია	2(ორი) კვირა/თამაში		

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	01/04/2026	განხილვის ადგილი	სრკ-ის ოფისი
თავმჯდომარე	დავით შუბითიძე		
კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა		
მოთამაშის დასწრება	კი ☒ არა ☐	კლუბის/გუნდის წარმომადგენლების დასწრება	კი ☐ არა ☒
მოთამაშის წარმომადგენელი		სხვა დამსწრეები;	
მოთამაშის კლუბისთვის/გუნდისთვის განხილვამდე	1. რაგბის კლუბ ,,ქვემო ქართლის“ საჩივარი		

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 66

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

მიწოდებული დოკუმენტაცია	

ფაქტობრივი მოცემულობბები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).
1. რაგბის კლუბ ,,ქვემო ქართლის“ საჩივარი(ციტირება) - მატჩის მეორე ნახევარში დაახლოებით 73-ე წუთზე რაგბის კლუბ ტაოს მოთამაშე გიორგი შკინინმა (N13) უხეშად (არასპორტულად) დაარღვია ჩვენი მოთამაშის წინააღმდეგ თამაშის წესები ფეხის დადებით, რის გამოც ჩვენმა მოთამაშემ ვეღარ შეძლო თამაშის გაგრძელება და ასევე, როგორც მატჩის შემდგომი სამედიცინო კვლევებით დადგინდა (გაიწწყვიტა კუნთი) გამოტოვებს განმეორებით შეხვედრასაც. აღნიშნული არასპორული დარღვევის შემდეგ გიორგი შკინინიმა ჩაიდინა მეორე არასპორტული საქაციელი. დამტვრეული მოთამაშისთვის ბოდიშის მოხდის მაგივრად, თავი აარიდა დანაშაულს (წარმოდგენილ კადრებში ჩანს, განზრახ როგორ არიდებს თავს და 23 ნომრით მოთამაშე თანაგუნდელს ეუბნება, რომ თავის თავზე აიღოს დარღვევა), არ აღიარა ჩადენილი საქციელი, სპეციალურად შეიყვანეს შეხვედრის არბიტრი შეცდომაში და დამრღვევად თავის თავი მიუთითა 23-მა ნომერმა, რომელიც ინციდენტში არ მონაწილეობდა. ზემოთ აღნიშნული გარემოებების დასტურად გიგზავნით შესაბამის ვიდეო და ფოტო მასალას. ამ ყველაფრის გათვალისწინებით ვითხოვთ შესაბამის რეაგირებას და რეალური დამრღვევის (კლუბ ტაოს 13 ნომერი) მომდევნო თამაშიდან მოხსნას დისკვალიფიკაციის საფუძველზე. 2. ინციდენტის ამსახველი ვიდეომასალა 3. მატჩის მსაჯების სატელეფონო გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - პაპუნა ჭიქაბერიძემ განაცხადა, რომ ფეხის გამოდების ფაქტი დააფიქსირა გვერდითმა მსაჯმა, თუმცა დამრღვევის იდენტიფიცირება ნომრის მიხედვით ვერ მოახდინეს. ამის შემდეგ მან მოიხმო კაპიტანი და მბოჭავი (N23 მოთამაშე), რა დროსაც N23-მა აღიარა თამაშის წესების დარღვევა და ყვითელი ბარათიც მასზე გაიცა.

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 66

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)
რაგბის კლუბ ,,ქვემო ქართლის“ წარმომადგენელმა გამოაგზავნა დაზარალებული მოთამაშის სამედიცინო კვლევის დასკვნა. მათი ინფორმაციით მოთამაშეს კუნთი აქვს გაწყვეტილი და ტრავმის სიმძიმის შესაფასებლად დამატებით კვლევებს საჭიროებს.

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება
გიორგი შკინინი არ დაეთანხმა წარმოდგენილ საჩივარში აღწერილ გარემოებებს და განმარტა, რომ ინციდენტის შემდგომი ეპიზოდი, რომელიც მსაჯის შეცდომაში შეყვანად შეფასდა, სინამდვილეში მოთამაშეებს შორის მომხდარ გაუგებრობას წარმოადგენდა — კერძოდ, N23 მოთამაშემ საკუთარი ინიციატივით აიღო პასუხისმგებლობა, რადგან მიიჩნევდა, რომ მან შეასრულა მაღალი ბოჭვა. რაც შეეხება უშუალოდ წესების დარღვევის ფაქტს, მისი განცხადებით, ფეხის გამოდება იყო მომენტალური ინსტინქტური რეაქცია და მას არ ჰქონია მეტოქისთვის დაზიანების მიყენების განზრახვა.

ფაქტობრივი მოცემულობაზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა
სადისციპლინო კომისიამ დეტალურად შეისწავლა წარმოდგენილი საჩივარი, ვიდეომასალა და მოისმინა მხარეთა განცხადებები. ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ გიორგი შკინინის მიერ ფეხის დადების შემდეგ, დაზარალებულ მოთამაშეს სხვა ორი მოთამაშე ბოჭავს. კომისია მიიჩნევს, რომ ტრავმა პროვოცირებული იყო გიორგი შკინინის ქმედებით, თუმცა თანმდევი ბოჭვების გათვალისწინებით, პირდაპირი მიზეზშედეგობრივი კავშირის დადგენა მხოლოდ გიორგი შკინინის ქმედებასა და მიღებულ დაზიანებას შორის შეუძლებელია. მიუხედავად იმისა, რომ მსაჯმა მოთამაშეს ყვითელი ბარათი უჩვენა, კომისიამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ქმედება თავისი სიმძიმით შეესაბამებოდა წითელი ბარათის ტოლფას ქმედებას. რაც შეეხება მსაჯის შეგნებულად შეცდომაში შეყვანის ფაქტს, მტკიცებულებების არ არსებობის გამო, კომისიამ არ გაიზიარა აღნიშნული ბრალდება. ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, სადისციპლინო კომისიამ დაადგინა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის #1 დანართის **9.12 (ა) მოთამაშემ არავინ არ უნდა შეურაცხყოს ფიზიკურად, ფიზიკური შეურაცხყოფა ითვალისწინებს (და არ არის ლიმიტირებული) შემდეგს: ფეხის გამოდება/დადება** პუნქტის დარღვევა და სანქციის საწყის ზღვრად განსაზღვრა ამ პუნქტის დარღვევისთვის დადგენილი შუა ზღვარი.

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 66

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

გადაწყვეტილება

ბინძური თამაში	აღიარებულია ☒ დადგენილია ☐ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐
წითელი ბარათის ტოლფასი ქმედება	აღიარებულია ☐ დადგენილია ☒ არ არის დადგენილი ☐ სხვა (აღნიშნეთ) ☐

სანქცირების პოცესი

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტის მიხედვით

დარღვევის სიმძიმის შეფასება

განზრახვის შეფასება– 5.1(ა)-(ბ)	
შეგნებული/წინასწარ განზრახული ☐	**წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი** ☒
დარღვევის გამომწვევი მიზეზები/გარემოებები	
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი): 5.1 (დ)	
პროვოცირების არსებობა 5.1 (ე)	
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული 5.1 (ვ)	
ჰქონდა თუ არა მოთამაშის მხრიდან ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა): 5.1 (ზ)	
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა): 5.1 (თ)	
დაშავებულმა მოთამაშემ თამაში ვეღარ გააგრძელა	
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე 5.1 (ი)	
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა; 5.1 (კ)	

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 66

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა; 5.1 (ლ)
დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი. 5.1 (მ)

დარღვევის სიმძიმის ზღვარი.

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით

საწყისი ზღვარი		
ზედა ზღვარი* ☐	შუა ზღვარი ☒	ქვედა ზღვარი ☐
კვირა/თამაში	**4(ოთხი)** კვირა/თამაში	კვირა/თამაში

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის. 5.3

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებები სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
	კარგი
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**

დაკლებული კვირების/თამაშების რ-ბა: 2

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 66

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

კვირების/თამაშების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :
შესაბამისი შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.8) სადისციპლინო კომისიამ მიიღო სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის დანართი #1-ის 9.12(ა) პუნქტის დარღვევისთვის შუა ზღვრით განსაზღვრული საწყისი 50%-ით შემცირების გადაწყვეტილება.

შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები: სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ)) (პერსონალური/გუნდური გაფრთხილება)
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))

დამატებითი კვირების/თამაშების რ-ბა:

სანქცია

- **სანქცია მოიცავს სადისციპლინო პროცესის დასრულებამდე(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/თამაში)**სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	2(ორი) კვირა/თამაში	**წითელი ბარათი საკმარისია** ☐

სადისციპლინო გადაწყვეტილება # 66

2025-2026 წლის სათამაშო სეზონი

დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	02/04/2026
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	არ არის ცნობილი
დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	ტაო - ქ.ქართლი (04/04/2026)
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)	არა

- **სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)**

თავმჯდომარე ხელმოწერა	დავით შუბითიძე	თარიღი	03/04/2026

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** 2024-10-31T20-32-08.971Z202324.pdf